პოეტური ხატების ბინარულობა ა. ს. პუშკინის „ქართულ“ ლექსებში

BINARITY OF POETIC IMAGES IN THE “GEORGIAN” POEMS A. S. PUSHKIN

მარინე ალექსიძე, ნატალია ბასილაია

Marine Aleksidze, Natalia Basilaya

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ოპოზიცია, კონოტაცია, ნომინაცია, ემოციები, აღქმის ორმაგობა

Keywords: opposition, connotation, nomination, emotions, duality of perception

სამყაროს სხვადასხვა სურათის პოეტურ აღწერილობებში შეინიშნება ბინარული ოპოზიციები – ერთმანეთის საწინააღმდეგო არაერთი ორობითი თვისება, რომელთაგან თითოეულს, შესაბამისად, აქვს დადებითი ან უარყოფითი მნიშვნელობა [Трубецкой 2000: 72-88]. ეს ოპოზიციები შეიძლება იყოს სივრცითი (ზემო-ქვემო, ცა-დედამიწა), ფერადი (თეთრი-შავი), სოციალურ-კატეგორიული (მამაკაცი-ქალი, უფროსი-უმცროსი), დროებითი (დღე-ღამე, ზაფხული-ზამთარი) და ა. შ. „მე-20 საუკუნეში აღმოჩენილი ბინარული ოპოზიციების როლს არ აქვს საზღვრები: ისინი გამოიყენება პოეტური რიტმიდან, რომელიც აგებულია ენის უმცირესი ერთეულების ბინარულ მონაცვლეობაზე (მახვილიანი მარცვალი – უმახვილო მარცვალი) დღისა და ღამის, ზამთრისა და ზაფხულის ბიოლოგიურ და, აგრეთვე, კულტურულ (იდეალისტური კულტურა – მატერიალისტური კულტურა) რიტმებამდე დიაპაზონში [Руднев 2009: 48-49]. სამყაროს პოეტური აღქმის ორმაგობა, საპირისპირო ცნებების ერთდროული ბინარული წარმოდგენა, რომელთაგან ერთი ადასტურებს გარკვეულ ხარისხს, ხოლო მეორე უარყოფს, ასახულია ა. პუშკინის ორ ლექსში, რომლებშიც მოხსენიებულია საქართველო: „ნუ იმღერებ, ლამაზო, ჩემი თანდასწრებით სევდიანი საქართველოს სიმღერებს...“ (1828 წ.) და „საქართველოს ბორცვებზე დევს ღამის სიბნელე...“ (1829 წ.). ეს ლექსები დაწერილია სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა ვითარებაში, მიძღვნილია სხვადასხვა ადრესატისთვის, მაგრამ მათ აერთიანებს სიტყვა „საქართველო“.

ძირითადი მნიშვნელობის („ქვეყანა“) დამთხვევასთან ერთად ნომინაცია „საქართველო“ პუშკინის ტექსტებში სხვადასხვა მნიშვნელობას გამოხატავს. პირველ შემთხვევაში სინეკდოხა „სევდიანი საქართველოს სიმღერები“ სულაც არ არის სინონიმი შესიტყვების „სევდიანი ქართული სიმღერები“. აქ სიტყვა „საქართველო“, ერთი მხრივ, ასრულებს განსაზღვრების ფუნქციას, მეორე მხრივ კი, იღებს კონოტატიურ, ექსპრესიულ გაშუქებას.

მეორე შემთხვევაში, გენიტიურ შესიტყვებაში თანდებულით „ზე“ – „საქართველოს ბორცვებზე“, ეს ნომინაცია გამოხატავს სივრცულ მიმართებას, მოქმედების ადგილს. პირველ შემთხვევაში ნომინაცია „საქართველო“ კონოტაციურად დატვირთულია, ის სევდიანია, მეორეში – ასეთი კონოტაცია არ არის. უნდა აღინიშნოს, რომ „სევდიანი საქართველო“ ლექსიდან „ნუ იმღერებ, ლამაზო, ჩემს თანდასწრებით...“ ბინარულ ოპოზიციაში შედის „ბედნიერ საქართველოსთან“ 1820-1821 წლების ლექსში „კავკასიის ტყვე“, რომელშიც რუს ტყვეზე შეყვარებული ჩერქეზი ქალი „... უმღერის მას მთის სიმღერებსაც და ბედნიერი საქართველოს სიმღერებსაც“. ა. პუშკინს ისე მოეწონა ა. გრიბოედოვის მიერ კავკასიიდან რუსეთში ჩამოტანილი ქართული სიმღერის მელოდია, რომელიც საფუძვლეად დაედო მ. გლინკას მუსიკალური ნაწარმოებს, რომ მან დაწერა ამ ნაწარმოებისთვის ელეგიამიმართვის ტექსტი ანა ოლენინასადმი, რომელიც მშვენივრად მღეროდა. ა. პუშკინის საოცრად სუფთა და ნაზი „ქართული“ ლექსების იდუმალება და რომანტიზმი იქმნება სიტყვების სპეციალური შერჩევით, რომლებიც ერწყმის, მთელი მათი ბინარულობის მიუხედავად, ერთ უნიკალურ მთლიანობაში.

ლიტერატურა:

Трубецкой Н. (2000). Классификация оппозиций / Основы фонологии. Москва: «Аспект Пресс».

Руднев В. (2009). Энциклопедический словарь культуры XX века. Ключевые понятия и тексты. Москва: «Аграф».

In the poetic descriptions of different pictures of the world, binary oppositions are observed – a number of binary features opposed to each other, every one of which, respectively, has a positive or negative value. These oppositions can be spatial (up-down, sky-earth), color (white-

black), social-categorical (male-female, older-younger), temporal (day-night, summer-winter), etc. “The role of binary oppositions, discovered in the 20th century, knows no boundaries: they are used in the range from poetic rhythm, which is built on the binary alternation of the smallest units of the language (stressed syllable – unstressed syllable), to the biological rhythms of day and night, winter and summer, and also cultural rhythms: idealistic culture – materialistic culture”. The duality of the poetic perception of the world, the simultaneous binary representation of opposite concepts, one of which affirms some quality, and the other denies, can be traced in two poems by A. S. Pushkin, in which Georgia is mentioned: “Do not sing, beauty, in my presence the songs of sad Georgia ...” (1828) and “On the hills of Georgia lies the darkness of the night ...” (1829). These two poems were written at different times, in different places and under different circumstances, dedicated to different addressees, but they are united by the word “Georgia”. With the coincidence of the main meaning of ‘country’, the nomination “Georgia” in Pushkin’s texts expresses different semantics. In the first case, the synecdoche of “songs of sad Georgia” is by no means synonymous with the adjective-substantive phrase “sad Georgian songs”. Here the word “Georgia”, on the one hand, performs a definitive function, and, on the other hand, receives connotative expressive coverage. In the second case, in a genitive phrase with the preposition “on” – “On the hills of Georgia”, this nomination expresses a spatial relationship, a place of action. In the first case, the nomination “Georgia” is connotatively charged, it is sad, in the second – there is no such connotation. It should be noted that “sad Georgia” from the poem “Do not sing, beauty, in my presence ...” enters into binary opposition with “happy Georgia” in the poem “Prisoner of the Caucasus” of 1820-1821, in which a Circassian woman in love with a Russian captive “.. sings to him both the songs of the mountains and the songs of happy Georgia”. A. S. Pushkin so liked the melody of the Georgian song brought

from the Caucasus to Russia by A. S. Griboyedov and the musical work by M. I. Glinka that he wrote for him the text of an elegy address to Anna Olenina, who sang beautifully. The mysteriousness and romanticism of surprisingly pure and tender “Georgian” poems by A. S. Pushkin are created by a special selection of words that merge, for all their binarity, into a single unique integrity.

References:

Trubetskoi N. (2000). Position classification. Fundamentals of phonology. Moskva: “Aspect-press”.

Rudnev V. (2009). Encyclopedic dictionary of culture of the XX century. Key concepts and texts. Moskva: “Agraf”.